MES 2 21 0001398751

21/12/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციი სსაბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 07.12.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:00 სთ
სხდომის დასრულების დრო: 21:30 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათიაზედგინიძე- ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამშენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. **ნათიაზედგინიძე-ჯიშკარიანი -** სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. **ნინოიმნაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. **მარიამშენგელია -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. **გაიანესიმონია -** სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების, კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, გერიატრიის დეპარტამენტის პროფესორი;
5. **ნინოჭალაგანიძე** - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
6. **ელიზბარელიზბარაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
7. **ნიკათიკანაშვილი -** ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
8. **გიორგიღაღანიძე -** სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

9. **დავითკაპანაძე -** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
10. **დიანამჭედლიშვილი -** შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
11. **ეკატერინენაცვლიშვილი -** შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
12. **თამარჩხეიძე -** სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ასოცირებული პროფესორი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
13. **მაკაკაჭარავა** - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
14. **ნინოინასარიძე** - "CNFA საქართველოს" გარემოს დაცვის მენეჯერი;
15. **გაიოზ ფარცხალაძე** - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები:

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	შოთა კეჟერაშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის უფროსი სპეციალისტი.
2	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სტატუსი	საკითხი
1.	თეონა ხუფენია	შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი	რექტორი	I
2.	თეონა ფეტვიაშვილი		პროგრამის ხელმძღვანელი	I
3.	ბელა მოსია		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი.	I
4.	ქეთევან ლატარია		საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი	I
5.	ვლადიმერ ადეიშვილი		საგნობრივი ჯგუფის განმახორციელებელი პირი	I
6.	დალი ბენაძე		სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი	I
7.	კახაბერ კორძაია	შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის	უნივერსიტეტის რექტორი	II,III
8.	ვახტანგ წივწივაძე		უნივერსიტეტის კანცლერი	II,III
9.	მარინა გედევანიშვილი			II, III

			უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	
10.	ფიქრია კაპანაძე		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე	II, III
11.	თამარ კიკნაძე		საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	II
13.	ზაზა ცოტნიაშვილი		ჟურნალისტიკის საბაკალავრო პროგრამის ხელმძღვანელი	III
14.	ელენე მამუკელაშვილი	შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი	ფაკულტეტის დეკანი	IV
15.	ნინო გვაზავა		პროგრამის ხელმძღვანელი	IV
16.	ლიკა სვანაძე		პროგრამის ხელმძღვანელი	IV
17.	ვაჟა ფირცხალაიშვილი		პროგრამის მრჩეველი	IV
18.	თამარ გვიანიშვილი		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	IV
19.	ლევან ბარამიძე	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	პროგრამის ხელმძღვანელი	V
20.	დავით გელოვანი		საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	V
21.	ეკა მირველაშვილი		პროგრამისგანამხორციელებელი	V
22.	ნინო ვეფხვაძე		სამეცნიერო მუშაობის კოორდინაციის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სამსახურის უფროსი	V
23.	მარინე ციმკურიძე		საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი	V

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონული საშუალებითმონაწილეობის შესახებ**	**საკითხი**
1	მიხეილ გიორგაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	მაიამ ბანძელაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ეკატერინე კვირიკაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
4	სოფიო უგრეხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I

5	მაკა თეთრაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I
6	ნინო შოშტაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ანა ქეშელაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
8	ქრისტინე ჩიხლაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
9	ნანა ფირცხელანი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
10	ნინო ფავლენიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ფიქრია ასანიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
12	ირმა ქურდაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
13	ნუცა წამალაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
14	ნანი არაბული	(ჩაერთო „ზუმით“)	IV
14	თამარ ლობჟანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
15	ირინე ფხაკაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	V
16	მიხეილ ბიჭია	(ჩაერთო „ზუმით“)	V
17	ლანა ბოკუჩავა	(ჩაერთო „ზუმით“)	V

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.
საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის უნივერსიტეტის მასწავლების განათლების ინტეგრირებული საბაკალავრი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ჟურნალისტიკის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორის ურთიერთობების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული სისტემების მართვის'' - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
5. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "საზოგადოებრივი ჯანდაცვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით:
კი
ცენტრის თანამშრომელმა დააყენა შუამდგომლობა, რომ მე-2 საკითხად განხილულიყო შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორის ურთიერთობების'' საბაკალავრო

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი, ხოლო მე-3 საკითხად, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ჟურნალისტიკის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი.

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის უნივერსიტეტის მასწავლებლის განათლების ინტეგრირებული საბაკალავრო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
2. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორის ურთიერთობების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
3. შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ჟურნალისტიკის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.
4. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული სისტემების მართვის'' - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა
5. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "საზოგადოებრივი ჯანდაცვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1. პირველი საკითხი : სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის უნივერსიტეტის მასწავლებლის განათლების ინტეგრირებული საბაკალავრო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 23 დეკემბრი, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #223
5		

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	განათლების მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ჯგუფი - ქართული, მათემატიკა, ბუნებისმეტყველება
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით.
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	300
14	განხორციელების ადგილი	ჯანაშიას ქუჩა #14, ზუგდიდი, სამეგრელო-ზემო სვანეთი, 2100 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდვ ნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ 2021 წლის 1 ნოემბერს სსიპ - შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში დისტანციურად (ზუმის პლატფორმის გამოყენებით) განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი ამავე სასწავლო უნივერსიტეტის ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. სამუშაო განრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა სასწავლო უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციას,

თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებს. ასევე გაიმართა ინტერვიუები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დისტანციურად დაათვალიერა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა პროგრამის სტუდენტებსა და მომიჯნავე პროგრამის კურსდამთავრებულებს. შეხვედრის განმავლობაში დაზუსტდა ინფორმაცია პროგრამის, მისი ცალკეული კომპონენტებისა და სტრუქტურის, შესაბამისი დოკუმენტაციისა და ცალკეული სილაბუსების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოტანილი დასკვნები, რეკომენდაციები და რჩევები ეყრდნობა სწორედ ზემოაღნიშნული დოკუმენტების შესწავლისა და ინტერვიუების შედეგად მიღებულ ინფორმაციას.

სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის უნივერსიტეტის მასწავლებლის განათლების ინტეგრირებული საბაკალავრო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1.რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის მიზნები. მეტი სიზუსტისთვის შეიცვალოს მიზანში წარმოდგენილი ზოგიერთი დებულების ფორმულირება;

2.გადაიხედოს სწავლის შედეგები გარკვეული დებულებების გადაფარვისა და ფორმულირებების დაზუსტების /შესწორების მიზნით;

3.გადაიხედოს წარმოდგენილი პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. განისაზღვროს სწავლის შედეგების შეფასების პერიოდულობა და სამიზნე ნიშნულები პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

4.რეკომენდებულია, გაიდახედოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა. დაზუსტდეს კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობა სამი დონის მიხედვით. დოკუმენტის დაზუსტებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კურსის შედეგები, შინაარსი, სემესტრული განფენილობა;

5.რეკომენდებულია, გადაიხედოს ცალკეული სასწვლო კურსების შედეგები. გარკვეულ შემთხვევებში, სწავლის შედეგების ფორმულირების დროს, ცოდნა-გაცნობიერების კომპეტენციის აღსაწერად გამოყენებულია უფრო პრაქტიკული უნარების აღმწერი შედეგები. ასევე, გარკვეულ შემთხვევებში წარმოდგენილი შედეგი არის ძალიან ვიწრო და არ შეესაბამება დარგობრივ მახასიათებლის კომპეტენციების აღმწერს. ზოგადად, რეკომენდებულია კურსის სწავლის შედეგების ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისი აქტიური ზმნებით დალაგება;

6.რეკომენდებულია სასწავლო კურსების სილაბუსებში შეფასების კომპონენტებისა და რუბრიკების გადახედვა. შეფასების კომპონენტები უნდა იყოს დიფერენცირებული და ითვალისწინებდეს სასწავლო კურსის სპეციფიკას. რუბრიკები უნდა ცხადყოფდეს თუ როგორ გადის კონკრეტული შეფასება სასწავლო კურსის კონკრეტულ შედეგებზე. განსაკუთრებით საყურადღებოა პრაქტიკული უნარების შეფასების კომპონენტები. აღნიშნული სილაბუსები ზოგადია და არ გამოხატავს საგნის სპეციფიკას და მისაღწევ შედეგებს.

7.რეკომენდებულია გადაიხედოს და გამარტივდეს სწავლის შედეგების მიღწევის სქემა.
8.რეკომენდებულია, გადაიხედოს სამაგისტრო-კვლევითი ნაშრომისთვის მოსამზადებელი კურსების შინაარსი, აქტივობები და შეფასების სისტემა. სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა აღნიშნული კურსების ფარგლებში ჩაატარონ კვლევები შესაბამისი კვლევის დიზაინის ყველა ეტაპის გათვალისწინებით და ეს აისახოს შესაბამისი კურსების შეფასების სისტემაზე.
9.რეკომენდებულია, შეფასების სისტემაში სტუდენტების ჩართულობის უზრუნველყოფა. მხოლოდ ქულების განსაზღვრით სტუდენტი ვერ იღებს ამომწურავ ინფორმაციას გასაუმჯობესებელ მხარეებთან დაკავშირებით;
10.რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომის მოთხოვნებში გაიწეროს ინფორმაცია ნაშრომის გაფორმების აკადემიური სტილის შესახებ;
11.გაიმიჯნოს ხელმძღვანელის და თანახელმძღვანელის ფუქციები და დაზუსტდეს კონკრეტულად თანახელმძღვანელის ვალდებულებები. გაძლიერდეს პროგრამის დანერგვაში ხელმძღვანელის ჩართულობა.
12.ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესასრულებლად, როგორც პრევენციული მექანიზმი, ისევე, როგორც აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, შემუშავდეს მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა, რომელიც ხელშეკრულეკრულების განუყოფელი ნაწილი იქნება;
13.უნივერსიტეტმა შეიმუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის აღმწერი დოკუმენტი, სადაც მკაფიოდ იქნება გაწერილი უნივერსიტეტის პოლიტიკა ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპები, მიზნები, შესაბამისი მექანიზმები, მათი დანერგვისა და პრაქტიკაში გამოყენების გზები.
14.უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებსა და სამუშაო პროცესებში, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამებთან ერთად შემუშავდეს ინტეგრირებული საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის რეგულირების წესები და მოთხოვნები, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის;
15.მიზანშეწონილია, რომ უნივერსიტეტმა პროგრამის გარე შეფასება განახორციელოს ისეთი ექსპერტის მოსაზრებებსა და რეკომენდაციებზე დაყრდნობით, რომელიც იქნება დამოუკიდებელი უნივერსიტეტში მიმდინარე სამუშაო პროცესებისაგან და არ იქნება დაკავშირებული მასთან შრომითი ურთიერთობით;
16.მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა
a.განხორციელებული გამოკითხვებისა და შეფასებების ანალიზის შედეგები გაითვალისწინოს და გამოიყენოს საგანმანათლებლო პროგრამის განვითარებისათვის;
b.პროგრამის შეფასებაში ჩართოს უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები;
c.განახორციელოს შრომის ბაზრის უფრო სიღრმისეული და კვალიფიციური კვლევა, ხოლო შესაბამისი მიგნებები გამოიყენოს პროგრამის მუდმივი გაუმჯობესებისათვის;
17.განავითაროს შეფასებისა და მონიტორინგის ისეთი სისტემა, სადაც ჩართულები იქნებიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები საგანმანათლებლო პროგრამის მთლიანი კურიკულუმის შეფასებასა და ანალიზში, შრომის ბაზრისა და სხვა კვლევების შედეგების გათვალისწინებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულები სწარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ინსტიტუცია რეკომენდაციას ეთანხმება ნაწილობრივ, ვინაიდან პროგრამის მიზნების აღწერილობაში არის დაშვებული ტექნიკური უზუსტობა ტერმინებში, როგორიცაა ,,საგნობრივი ჯგუფი". რაც შეეხება ტერმინს -,,საერთაშორისო სტანდარტები", ზოგადად, ნაგულისხმევია პროგრამის შემუშავება საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით, კერძოდ: პროგრამის შემუშავების მიზნით საზოგადოებრივ მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის საბჭოზე შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა ითანამშრომლა ესტონეთის განათლებისა და კვლევების სამინისტროს ფონდ ინოვესთან (თანამშრომლობა ორგანიზებული

იყო გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად). აღნიშნული თანამშრომლობით ორგანიზებული სამუშაო შეხვედრების მასალები სრულად იქნა გამოყენებული, ამდენად დაწესებულებას მიაჩნია, რომ ამ პროგრამის ძლიერი მხარეა საერთაშორისო გამოცდილება, რომელიც გაზიარებულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მხარდაჭერით. რაც შეეხება ექსპერტთა მოსაზრებას სკოლაში არაფორმალური განათლების ხელშეწყობის ჩანაწერის დაზუსტების შესახებ, სასკოლო სასწავლო გეგმის გზამკვლევის მიხედვით, რომელიც შექმნილია სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის მიერ ვკითხულობთ „არაფორმალური განათლება“ : არაფორმალური სივრცეები და აქტივობები სკოლაში; გარე ორგანიზაციებთან თანამშრომლობით არაფორმალური განათლების კონტექსტში შემოთავაზებული აქტივობები.“. ამას გარდა, სკოლის მიღმაც და სკოლაშიც მასწავლებელს შეუძლია წიგნიერებისა და სხვა გამჭოლი მიმართულებით დააფუძნოს კლუბები თუ წრეები. ამდენად, არ ჩაითვალა აუცილებლად ამ კომპონენტის დაზუსტება.

რაც შეეხება მე-2 რეკომენდაციას, როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, პროგრამის სწავლის შედეგები სრულად ფარავს მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს. და ეყრდნობა შრომისა და განათლების ბაზრის კვლევისა და პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებს. რაც შეეხება კორექტირების საჭიროებას პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიაში, დაწესებულება განმარტავს, რომ საბაკალავრო-სამაგისტრო ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგია იყო ცალკე აკადემიური საბჭოს დადგენილებით რეგულირებული და სახელმძღვანელოდ მიწოდებული სამუშაო ჯგუფისთვის, თუმცა ექსპერტების სწორი მითითებით აისახა ძირითად მეთოდოლოგიის დოკუმენტში, რაც წარმოდგენილია დანართში. დაწესებულებას ასევე მიაჩნია, რომ დებულებების ფორმულირებების დაზუსტების / შესწორების მიზნით სწავლის შედეგების გადახედვა მხოლოდ რჩევად შეიძლება იქნეს გათვალისწინებული, ვინაიდან სწავლის შედეგები არ აზიანებს დარგსა და კურსდამთავრებულის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ფორმირებას .

მე-3 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნული არის ტექნიკური უზუსტობა, რადგან უნივერსიტეტის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს ,,სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტს, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების პერიოდულობასა და სამიზნე ნიშნულებს წარმოდგენილი პროგრამისთვის. ასევე სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია გაწერილია ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებულ რეგულაციებში (ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა, საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შერჩევის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის წესი“).

მნიშვნელოვანია ასევე მე-4 და მე-5 რეკომენდაცია, კერძოდ როგორც ერქსპერტები აღნიშნავენ, პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, რეკომენდებულია გადაიხედოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა და უფრო გააზრებულად გაკეთდეს შედეგების წარმოდგენა. აღნიშნულ რეკომენდაციას ვეთანხმებით და თუმცა უნდა ჰქონდეს რჩევის ფორმატი სწავლის შედეგების მიღწევის რუკაზე ტექნიკური შეცდომების გათვალისწინებით. ასევე ექსპერტები აღნიშნავენ, რომ პროგრამის სწავლის შედეგების რუკაზე სასწავლო კურსები დალაგებულია დონეების მიხედვით: გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის კომპლექსურობის აღქმისთვის. რაც შეეხება კურსების სწავლის შედეგების აღწერას, აღწერილია ბლუმის ტაქსონომიის შესაბამისი აქტიური ზმნებით. აღნიშნული რეკომენდაცია არ ეხება

სპეციალობის კურსებს, შეეხება მხოლოდ თავისუფალი კურსების რამდენიმე კურსს და ექვემდებარება კორექტირებას.

რაც შეეხება რეკომენდაციებს სასწავლო კურსებთან და შეფასების სისტემებთან მიმართებით, დაწესებულებსი წარმომადგენელმა განმარტა, რომ სწორედ რუბრიკები უზრუნველყოფს შეფასების სისტემაში სტუდენტების ჩართულობას და აწვდის მას ამომწურავ ინფორმაციას გასაუმჯობესებელ მხარეებთან დაკავშირებით. სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი რუბრიკების შექმნაშიც კი სტუდენტების მონაწილეობის პრაქტიკას იცნობს და ეფექტურად იყენებს. შეფასების კომპონენტებს განსაზღვრავენ განმახორციელებელი პირები, თუმცა მთელ რიგ სასწავლო კურსებში, პერსონალთან შეხვედრების საფუძველზე, შეტანილ იქნა მთელი რიგი ცვლილებები. ზოგადად, შეფასების კომპონენტებზე ექსპერტთა მსჯელობას ვერ დავეთანხმებით, მაგალითად, როგორც ექსპერტები მიუთითებენ ,,გაკვეთილის გეგმის შემუშავება, მოსწავლეებში დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების ხელშეწყობა, შეფასების რუბრიკების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება და ა.შ. რაც შესაძლებელია სასემინარო შეხვედრების ფარგლებში სიმულაციური აქტივობებით შეიძლება დაიძლიოს, თუმცა კურსების სილაბუსებში ასეთ აღწერებს არ ვხვდებით.

მნიშვნელოვანია ასევე მე-10 რეკომენდაცია, კერძოდ ნაშრომის გაფორმების აკადემიური სტილი ცალკე არსებული დოკუმენტია და ის საერთოა როგორც საბაკალავრო, სამაგისტრო ისე აკადემიური პერსონალის სამეცნიერო ნაშრომებისთვის და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. მისი განთავსება სამაგისტრო ნაშრომების მოთხოვნებში მხოლოდ ტექნიკური საკითხია და არა არსებითი.

რაც შეეხება მე-11 რეკომენდაციას, უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაცია ,,პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის დებულება“ თანაბრად ავალდებულებს და არ ათავისუფლებს არც ერთ მხარეს პასუხისმგებლობისგან პროგრამის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში და გაუგებარია ექსპერტი, რატომ მიიჩნევს ამას სარეკომედაციო ხასიათის მოთხოვნად, რჩევის სახით შეიძლება ტექნიკურად დაზუსტდეს ჩანაწერი დებულებაში. არსებული ჩანაწერი ემსახურება პროგრამის განვითარებასა და სწავლის შედეგების სრულყოფას და არსებული მდგომარეობა არ აზიანებს დარგისა და კურსდამთავრებულის შრომის ბაზრის შესაბამის ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების ფორმირებას. რაც შეეხება რეკომენდაციას, რომ გაძლიერდეს პროგრამის დანერგვაში ხელმძღვანელის ჩართულობა, მიზანშეწონილად მიგვაჩნია,რომ ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის ერთობლივი თანამშრომლობა მათი კომპეტენციის გაზიარება უზრუნველყოფს პროგრამის შემუშავებასა და დანერგვას.

რაც შეეხება მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემის შემუშავებას, აღვნიშნავთ, უნივერსიტეტში არსებობს მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა, რომელიც უზრუნველყოფს მათ დამაგრებას უნივერსიტეტში და პროგრამის მდგრადობას. აღნიშნულზე ექსპერტებიც მიუთითებენ, რომ პერსონალის ,, აკადემიური და მოწვეული პერსონალის დენადობა არ გვაძლევს საშუალებას ვთქვათ, რომ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მოცემული რაოდენობა და დატვირთვა ვერ უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ უნივერსიტეტში შემუშავებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების აღმწერი დოკუმენტი, სადაც მკაფიოდაა გაწერილი უნივერსიტეტის პოლიტიკა ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით, ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპები,

მიზნები, შესაბამისი მექანიზმები, მათი დანერგვისა და პრაქტიკაში გამოყენების გზები. მიმართულებები, მიმართულებების შესაბამისი მარეგულირებელი დოკუმენტების მითთებებით. აღნიშნული სტრატეგიული დოკუმენტის გარდა ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმა 2021-2024 წელი დეტალურად აღწერს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობებს.

რაც შეეხება კორექტირების საჭიროებას პროგრამის შემუშავების მეთოდოლოგიაში, დაწესებულება, რომ საბაკალავროსამაგისტრო ინტეგრირებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების მეთოდოლოგია იყო ცალკე აკადემიური საბჭოს დადგენილებით რეგულირებული და სახელმძღვანელოდ მიწოდებული სამუშაო ჯგუფისთვის, თუმცა ექსპერტების სწორი მითითებით აისახა ძირითად მეთოდოლოგიის დოკუმენტში, რაც წარმოდგენილია დანართში.

მნიშვნელოვანია ასევე დაწესებულების მოსაზრება მე-16 რეკომენდაციასთან დაკავშირებით, კერძოდ უპირველესად უნდა აღინიშნოს რომ პროგრამა ხორციელდება ორი წელია, შესაბამისად უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული კვლევები არ მოიცავს კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევასა და მის შედეგებს, ორი სასწავლო წლის სტუდენტის გამოკითხვა არ მოიცავს პრაქტიკის კომპონენტს, კვლევისა და პრაქტიკის ელემენტებს, შესაბამისად, არ შეიძლება ვისაუბროთ ამ ეტაპზე კომპლექსური კვლევის ჩატარებასა და შედეგების პროგრამაში ასახვაზე. პროგრამაში ძირეულ ცვლილებებზე, მოდიფიცირებასა და გაუმჯობესებაზე შეიძლება საუბარი მას შემდეგ, როცა პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება განხორციელდება. რაც შეეხება რეკომენდაციაში მითითებულ ,,შეფასებისა და მონიტორინგის ისეთი სისტემის შექმნას, სადაც ჩართულები იქნებიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები საგანმანათლებლო პროგრამის მთლიანი კურიკულუმის შეფასებასა და ანალიზში, შრომის ბაზრისა და სხვა კვლევების შედეგების გათვალისწინებით", არ არის სიახლე უნივერსიტეტისთვის. უნივერსიტეტი იცნობს და იყენებს ამ მიდგომებს. რაც დასტურდება სხვა მოქმედი პროგრამების განვითარების ეტაპებზე. თუმცა მიუხედავად ამისა, ამ პროგრამის ძლიერი მხარეა, აკრედიტაციის გარე შეფასების რეკომენდაციების სრული გათვალისწინება, პარტნიორი უნივერსიტეტების ანალოგიური პროგრამების გამოცდილების გაზიარება, პრაქტიკული გამოცდილების პერსონალის რეკომენდაციების ასახვა, მათ შორის USAID პროექტის, შიდა ხარისხის კვლევებიის შედეგების გათვალისწინება, შრომის ბაზრის თანამედროვე ტენდენციების ასახვა და სხვა აქტივობები. ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს ხარისხის უზრუნველყოფის სტუდენტური ჯგუფის შექმნას, რომ გააძლიეროს კურსდამთავრებულთა ჩართულობა უნივერსიტეტის საქმიანობებსა და საგანმანათლებლო პროგრამების მუდმივად მოდიფიცირებაში. კურსდამთავრებულთა ქსელს სხვადასხვა ელექტრონული და სოციალური მედია საშუალებებით ფლობს სასწავლო უნვიერსიტეტის კარიერის ცენტრი და პასუხისმგებელია კურსდამთავრებულთა სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობების გაუმჯობესების მიზნით მრავალმხრივად ჩართულობაზე. სასწავლო უნივერსიტეტში განხორციელებულია შრომის ბაზრის მიზნობრივი კვლევები და აღნიშნული კვლევების საფუძველზე განხორციელებულია საქმიანობები საგანმანათლებლო პროგრამების გამრავალფეროვნების მიზნით. სასწავლო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიული დოკუმენტი კარგად წარმოაჩენს შეფასებისა და მონიტორინგის ისეთ სისტემას, რომელიც საკმაოდ წარმომადგენლობითია და აღნიშნული პროგრამისთვის საუკეთესო პრაქტიკად ითვლება მშობლების ჩართულობაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა რეკომენდაცია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებთან დაკავშრებით და განმარტა, რომ როგორც ინსტიტუციამ ისაუბრა მოცემული დოკუმენტები ნამდვილად არსებობს დაწესებულებაში, გადა ამისა, დაწესებულები მიერ ასევე

არის წარმოდგენილი კონკრეტულად ამ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმა. უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს თავისი ალგორითმები და განსაკუთრებული მიდგომები, ასევე აკადემიური მოსწრების ჩანაწერები, სადაც ინსტიტუცია იყენებს გაუსის მეთოდოლოგიას. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა დააზუსტა, თუ რა მეთოდოლოგიებსა და მიდგომებს იყენებს დაწესებულება და მოუწოდა ექსპერტებსა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებს საკითხის განმარტებისკენ.

საბჭოს წევრმა ასევე ისაუბრა სწავლის შედეგების რუკასთან დაკავშირებით და აღნიშნა ექსპერტთა რეკომენდაციების მიხედვით მნიშვნელოვანია მოხდეს საგნების სამივე დონეზე გაწერა, რაც დაწესებულების მიერ გაკეთებულია. აღნიშნული რეკომენდაცია უფრო დაკვირების საკითხია. თუმცა ამ ეტაპზე გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას გააზრებული აქვს სამივე დონეზე საგნების არსებობა, სტატუსების გაცნობა განმტკიცები დონეზე, მოცემულ შემთხვევაშ საუბარი შეიძლება იყოს დახვეწის საკითხზე და არა არ არსებობის. გარდა ამისა, ექსპერტებს აღნიშნული აქვთ, რომ მნიშვნელოვანია გარე შეფასების ნაწილში არ ჩაერთონ ის პირები, რომლებთანაც დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული ქვესტანდარტი არ წარმოადგენს სავალდებულოს, დაწესებულებას შეიძლება აღნიშნული ჰქონდეს ან არა. აქედან გამომდინარე საბჭოს წევრმა მოუწოდა ორივე მხარეს საკითხის დაზუსტებისკენ.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განმარტა, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი რეკომენდაციები ძირითადად ეხება აბა პროგრამულს არამედ ინსტიტუციურ მიდგომებს, შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად არის შესაძლებელი მთელი უნივერსიტეტის მიფგომური პრობლემის ერთი პროგრამის ფარგლებში განხილვა.

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა, აღნიშნა, რომ ვინაიდან დაწესებულებას მინიჭებული ჰქონდა პირობითი აკრედიტაცია, შესაბამისად, უნივერსიტეტმა იმუშავა ამ მიმართულებით, რომ გამოესწორებინა ძირითადი ხარვეზები და გაეთვალისწინებინა ძირითადი რჩევები და რეკომენდაციები. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას პირობითი აკრედიტაციის ფარგლებში განასაზღვრული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაცია და ზოგადად როგორ შეაფასებდნენ მოცემულ პროცსს ექსპერტები.

გარდა ამისა საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ რეალურად შედგებთან დაკავშირებით რეკომენდაციები დასკვნის ფარგლებში მეორდება, რაც შესაძლებელი იყო თავმოყრილი ყოფილიყო ერთ რეკომენდაციაში. რაც შეეხება შეფასების სქემას, შესაძლებელია მათი განმეორება ზოგიერთ კურსთან მიმართებით. მოცემული საკითხები შესაძლოა არ წარმოადგენენ შემაფერხებელ გარემოებებს. აქედან გამომდინარე, საბჭოს წევრმა მოუწოდა ექსპერტთა ჯგუფსა დაწესებულებას საკითხის დაზუსტებისკენ.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 10 სკოლა, სამი კერძო და შვიდი საჯარო. შესაბამისად, საბჭოს წევრმა დააზუსტა გამოკითხული 10 სკოლა იძლევა თუ არა რელევანტუი დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას. რაც შეეხება ბიუჯეტს, პროგრამის ფარგლებშ წარმოდგენილია ფაკულტეტის ბიუჯეტი, რაც მისაღებია ისეთი შემთხვევებისთვის როდესაც ფაკულტეტი წარმოდგენილია ერთგვაროვანი პროგრამებით, აღნიშნული კი მოცემულ შემთხვევაში სახეზე არაა. წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით, პროგრამის მდგრადობაზე დასკვნის გამოტანა იქნება საკმაოდ რთული. აქედან გამომდინარე საბჭოს წევრმა დააზუსტა. ხომ არ არსებობს რაიმე დამატებითი დოკუმენტები საკითხთან დაკავშირებით

საბჭოსთავმჯდომარემმიმართაექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლებსდაეფიქსირებინათსაკუთ არიპოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფი თავმდჯომარემ სწავლის შედეგების მექანიზმებთან და რუკასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იგი სრულად იიარებს საბჭოს წევრთა მოსაზრებებს. აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი და შექმნილი, შესაბამისად, ექსპერტთა რეკომენდაცია გულისხმობდა არა მოცემული დოკუმენტების შექმნას, არამედ მათ გადახედვას. ექსპერტთა მიდგომა ასევე გამომდინარეობს ინტერვიუებისგანაც, ვინაიდან ინტერვიუს მიმდინარეობისას

ექსპერტებს ჰქონდათ მცდელობა, რომ გარკვეულიყვნენ თავად სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში, დაწესებულების მხიდან დასაბუთება და ახსნა ბუნდოვანი იყო. გარდა ამისა, საუნივერსიტეტო სწავლის შედეგების მექანიზმი არის სრულიად განსხვავებული, აქედნა გამომდინარე ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ ვინაიდან დასაბუთება დაწესებულების მხრიდან არ იყო მკაფიო განესაზღვრათ საკითხთან დაკავშირებით რეკომენდაცია.

რაც შეეხება რუკას, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაშ სახეზეა არა ტექნიკური, არამედ შინაარსობრივი ხარვეზი, როცა პირვე და მეორე კურსზე სტუდენტს შეთავაზებული ექნება ისეთი სასწავლო კურსი, რომელიც გაუღღმავებს ცოდნას. შესაბამისად, თუ სწავლის შედეგების რუკის აგება ამ პრინციპით ხორციელდება, აუცილებელია მოხდეს მისი გადალაგება და დახვეწა.

რაც შეეხება შეფასების მექანიზმებს, მაგალიღად თუ პრეზენტაციის შეფასების რუბრკა იყო გამოყენებული, ნებისმიერ სასწავლო კურსში მისი შინაარსის მიუხედავად არის ერთი და იგივე რუბრიკა გამოყენებული. სასწავლო კუსრებსი როგორ ფასდება სწავლის შედეგის მიღწევა ექსპერტებისთვის ბუნდოვანია.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ ექსპერტთა მიერ მოხდა წინა რეკომენდაციების გადახედვა, მსჯელობების კი მოდემულია შესაბამისს სტანდარტებში. რაც შეეხება გარე შეფასებას, ცხადია აღნიშნული არ არის სავალდბეულო მექანიზმი, მაგრამ რადგან უნივერსიტეტმა აღნიშნული უკვე განახორციელა, ის არ უნდა იყოს მხოლოდ ფორმალური დოკუმენტი, მოცემული უნდა ემსახურებოდეს შინააარსის განვითარება.

ზოგად რეგულაციებთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ ცხადია პროგრამა ხორციელდება და შედგენილია მოცემული რეგულაციების საფუძველზე. ამ საკითხთან დაკავშრებით პირველი პრობლემა იყო ის, რომ არა მხოლოდ პროგრამის შემუშავებისა და განვითარება-დამტკიცების წესი, იგიევ კითხვარები არ არის მორგებული ამ კონკრეტულ პროგრამას.

რაც შეეხება პროგრამის შემუშავების წესს, აღნიშნული დათარიღებულია 5 ნოემბრით, ხოლო ექსპერტთა ვიზიტი განხორციელდა ნოემრბის დასაწყისი, დოკუმენტები კი გადმოცემული უყო უფრო ადრე, შესაბამისად, მოცემული დოკუმენტი ვერ იქნებოდა მირებული მხედველობაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამის შემუშავების წესი დაწესებულებსი მიერ მომზადდა ექსპერტთა რეკომენდაციის განსაზღვრის შემდგომ, შესაბამისად ვერ მოხდებოდა მისი გათვალისწინება დასკვნის ფარგლებში.

რაც შეეხება შრომის ბაზრის კვლევას, დაწესებულების მიერ გამოკითხული იქნა 130 სკოლა, რაც შეეხება 10 სკოლას, აღნიშნული გაკეთებული იქნა ლიმენის მიერ. კვლევის საფუძელზე შეტანილი იყო, რომ 62% დამსაქმებლებისა ითხოვდა დარგის სიღრმისეულ ცოდნას და 55% პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაძლიერებას. პრაქტიკული უნარ-ჩვევების ნაწილში ჩაიშალა მთელი რიგი საკითხები. მნიშვნელოვანია ასევე ბიუჯეტის საკითხი, უნივერსიტეტის არის პატარა და ორიენტირებულია პრიორიტეტული პროგრამების მხარდაჭერაზე. პროგრამას ბიუჯეტის მხრივ აქვს აბსოლუტური მდგრადობა და ამ კუთხით არანაირი ხარვეზი არ არსებობს.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებამ მაქისმალურაგ გაითვალისწინება წინა რეკომენდაციები და მათ შესაბამისად მოხდა პროგრამის გამრავალფეროვნება.

მნიშნელოვანია ასევე, რომ პროგრამის სწავლის შედეგები სრულად ფარავს მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს. და ეყრდნობა შრომისა და განათლების ბაზრის კვლევისა და პოტენციურ დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგებს. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:31
დასრულების დრო: 17:24
აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარე ექსპერტთა შეფასება.
კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის პირველი და მესამე სტანდარტი, 1.2, 3.1, 3.2 და 5.2 კომპონენტები ნაცვლად ,, მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან'' შეფასდა როგორც ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან''. მეორე სტანდარტი 2.3, 2.6 და 5.1 კომპონენტები ნაცვლად ,,ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან'' განისაზღვრა როგორც ,,მეტწილად შესაბამიშა მოთხვნებთან'', ხოლო მეოთხე სტანდარტი და 4.4 ქვეკომპონენტი ნაცვლად ,,შესაბიმოსაბაშია მოთხოვნებთან'' განისაზღვრა როგორც ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან''.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის უნივერსიტეტის მასწავლებლის განათლების ინტეგრირებული საბაკალავრო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, გადაიხედოს პროგრამის მიზნები. მეტი სიზუსტისთვის შეიცვალოს მიზანში წარმოდგენილი ზოგიერთი დებულების ფორმულირება;
2. რეკომენდებულია, გაიდახედოს პროგრამის სწავლის შედეგების რუკა. დაზუსტდეს კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობა სამი დონის მიხედვით. დოკუმენტის დაზუსტებისას გათვალისწინებული უნდა იყოს კურსის შედეგები, შინაარსი, სემესტრული განფენილობა;
3. რეკომენდებულია, გადაიხედოს ცალკეული სასწვლო კურსების შედეგები. გარკვეულ შემთხვევებში, სწავლის შედეგების ფორმულირების დროს, ცოდნა-გაცნობიერების კომპეტენციის აღსაწერად გამოყენებულია უფრო პრაქტიკული უნარების აღმწერი შედეგები.
4. რეკომენდებულია ზოგიერთ სასწავლო კურსის სილაბუსში შეფასების კომპონენტებისა და რუბრიკების გადახედვა. შეფასების კომპონენტები უნდა იყოს დიფერენცირებული და ითვალისწინებდეს სასწავლო კურსის სპეციფიკას.
5. რეკომენდებულია, გადაიხედოს სამაგისტრო-კვლევითი ნაშრომისთვის მოსამზადებელი კურსების შინაარსი, აქტივობები და შეფასების სისტემა.
6. რეკომენდირებულია გაძლიერდეს პროგრამის ხელმძღვანელის როლი და ფუნქციები.
7. პროგრამის მდგრადობის გასაანალიზებლად, რეკომენდირებულია პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის შედგენა.
8. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.
9. რეკომენდირეულია უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებსა და სამუშაო პროცესებში, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის პროგრამებთან ერთად შემუშავდეს ინტეგრირებული საბაკალავრო-საგანმანათლებლო პროგრამის რეგულირების წესები და მოთხოვნები, ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის
10. რეკომენდირებულია დაწესებულებამ განავითაროს შეფასებისა და მონიტორინგის ისეთი სისტემა, სადაც ჩართულები იქნებიან სტუდენტები, კურსდამთავრებულები, აკადემიური და მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები საგანმანათლებლო პროგრამის მთლიანი კურიკულუმის შეფასებასა და ანალიზში, შრომის ბაზრისა და სხვა კვლევების შედეგების გათვალისწინებით.

რჩევები:

1.გადაიხედოს ზოგიერთი სწავლის შედეგების ფორმულირება/დაზუსტება.
2. სასურველია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გაიწეროს იმგვარად, რომ მისი ფორმულირება მოიცავდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩარიცხვის ყველა გზას.
3. სასურველია, გადაიხედოს კონკრეტული სასწავლო კურსების წინაპირობები. აღნიშნული ცვლილება მეტ ლოგიკურობას შესძენს პროგრამის განფენილობას, ასევე უზრუნველყოფს ცოდნის გაღრმავებას კონკრეტული კომპეტენციების მიმართულებით.
4. სასურველია, აკადემიურ პერსონალს ნათლად ესმოდეს კრედიტ ქულების მინიჭების ლოგიკა და შეძლოს აღშნინული ლოგიკის დასაბუთება. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქმნება შთაბეჭდილება, რომ კრედიტები მექანიკურადაა გადანაწილებული, სასწავლო კურსების მოცულობის, შინაარსის, სირთულის გათვალისწინების გარეშე.
5. თანამშრომლობით პრაქტიკის დასანერგად, სასურველია, რეგულარული ინტერვალით გაიმართოს შეხვედრები პროგრამის აკადემიური პერსონილის ჩართულობით, როდესაც მოხდება პროგრამის შინაარსი განხილვა, ასევე, სწავლა-სწავლების პროცესის გამოცდილების გაზიარება.
6. სასურველია, სტუდენტებისადმი შეთავაზებული ლიტერატურის მუდმივი განახლება. ასევე, საჭიროა უცხო ენოვანი ლიტერატურის ირგვლივ რიდერების მომზადება.
7. სასურველია, სტუდენტებისთვის განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდება მიღებულ შედეგებთან დაკავშირებით. უნდა დამკვიდდრეს შედეგების გარჩევის, დისკუსიის პრაქტიკა
8. სასურველია, დალაგდეს სამაგისტრო თემის საკითხის შერჩევის პრაქტიკა. სტუდენტებში კრიტიკული აზროვნების განვითარების მიზნით, მნიშვნელოვანია მათ თავად შეძლონ თემის იდენტიფიცირება, სწავლის პროცესში გამოკვეთილი მათთვის საინტერესო საკითხის ირგვლივ
9. მნიშვნელოვანია გამოყენებული იყოს ICT ტექნოლოგიებით სწავლების მეთოდი. აღნიშნული უნდა აისახოს სილაბუსებში, ასევე მოხდეს პრაქტიკულად დანერგვა.
10. სასურველია სტუდენტებს განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად მიეწოდოთ განმავითარებელი უკუკავშირი გამოვლენილ ხარვეზებთან მიმართებით.
11. სასურველია, სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში დაზუსტდეს ინფორმაცია ნაშრომის გაფორმების აკადემიური სტილისა და პლაგიატის შემოწმების მექანიზმის შესახებ;
12. შემუშავდეს პროფესორ-მასწავლებელთა პროგრამაში მონაწილეობის მდგრადობისა და მათი კვალიფიკაციის ამაღლების ეფექტიანი მექანიზმი.
13. ფუნქცია-მოვალეობების ჯეროვნად შესასრულებლად, როგორც პრევენციული მექანიზმი, ისევე, როგორც აკადემიური პერსონალის შემთხვევაში, შემუშავდეს მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა, რომელიც ხელშეკრულეკრულების განუყოფელი ნაწილი
14. სასურველია სასწავლო უნივერსიტეტმა მოწვეულ მასწავლებლებთან ერთად მოიზიდოს დამატებითი აკადემიური პერსონალი, რომლებიც აღჭურვილნი იქნებიან პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნით, გამოცდილებითა და კომპეტენციით.
15. სასწავლო უნივერსიტეტმა კიდევ უფრო მეტად უნდა შეუწყოს ხელი აკადემიურ პერსონალს შესაბამისი სტატიები/მონოგრაფიები/წიგნები რეფერირებად ჟურნალებში გამოქვეყნებას.
16. ბიბლიოთეკის გაციფრულების მიზნისათვის გაიწეროს დეტალური გეგმა ბიუჯეტირებით და გათვალისწინებული და შემუშავდეს წიგნადი ფონდის გაციფრულებისა და ელვერსიების გავრცელებისათვის საავტორო უფლებების დაცვის მექანიზმი;
17. სასურველია, რომ დაწესებულებამ თვითშეფასების განაცხადში მოყვანილი ყველა ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელი, სათანადო წესით გაფორმებული წერილობითი მტკიცებულება თან დაურთოს განაცხადს, შესაბამისი ქვესტანდარტების ნუმერაციასთან ლოგიკური შესაბამისობითა და თანმიმდევრობით.
18. მიზანშეწონილია, რომ უნივერსიტეტმა პროგრამის გარე შეფასება განახორციელოს ისეთი ექსპერტის მოსაზრებებსა და რეკომენდაციებზე დაყრდნობით, რომელიც იქნება დამოუკიდებელი უნივერსიტეტში მიმდინარე სამუშაო პროცესებისაგან და არ იქნება დაკავშირებული მასთან შრომითი ურთიერთობით.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 15
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტის **,,ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მასწავლე ბლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას" მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.**

2.მეორესაკითხი : შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორის ურთიერთობების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, გადაწყვეტილება N685, 20.11.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-საერთაშორისო ურთიერთობები
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	

		ჩარგლის ქუჩა # 73 , ნაძალადევის რაიონი, თბილისი, სასწავლო კორპუსი N 1, N 2. 0141 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი
თვითაცილება განაცხდა- ნინო ჭალაგანიძემ
საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკრეტაციის ვიზიტამდე შედგა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ზუმ-შეხვედრა. შეხვედრის მიმდინარეობისას მოხდა პროგრამის დოკუმენტებზე დეტალური მსჯელობა და სტანდარტების გადანაწილება; შედგა ინტერვიუებისათვის სავარაუდო კითხვების მონახაზი. ზუმ-ვიზიტი დაიწყო 10:20 საათზე (08.10.2021) კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში.
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორის ურთიერთობების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:
პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, პროგრამის სტრუქტურის შეცვლა - მისი დაბალანსება თეორიული და პრაქტიკული საგნებით, რათა სტუდენტს პროგრამის დასრულების შემდეგ ჰქონდეს სპეციალობის ის ცოდნა და უნარი, რომელიც ბაზრის/დამსაქმებლის მოთხოვნას შეესაბამება. შედეგად, მოხდება პროგრამის მიზნის შედეგზე გასვლა.

2. რეკომენდებულია, გარდაიქმნას სოციალური კვლევის მეთოდების, ხოლო აკადემური წერის კურსი გახდეს სავალდებულო.
3. რეკომენდებულია, კურსების მისადაგება დამსაქმებლების რეკომენდაციებთან და მოთხოვნებთან (დამსაქმებლების რჩევით დამატებულ საგნებს მიენიჭოს სავალდებულო სტატუსი).
4. რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს კურსი - ეკონომიკის შესავალი/საფუძვლები ან მოხდეს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების კურსის მოდიფიცირება (მას დაემატოს ეკონომიკის საფუძვლის შემქმნელი ძირითადი ელემენტები).
5. რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს საგანი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები.
6. რეკომენდებულია, რიდერის ყოველ სავალდებულო წასაკითხ თემას ახლდეს ლიტერატურა, რომელაც ის ეყრდნობა ან იყენებს.
7. რეკომენდებულია, შეივსოს სილაბუსები დარგის უახლესი ლიტერატურით.
8. რეკომენდებულია, დაემატოს კურსის საკითხავ მასალას ინგლუსურენოვანი ლიტერატურა.
9. რეკომენდებულია, ითარგმნოს დარგის ცნობილი ინგლსურენოვანი სახელმძღვანელოები და აკადემიური წიგნები ქართულ ენაზე.
10. აუცილებელია, რომ გაძლიერდეს სტუდენტთა კვლევითი უნარები, მათ საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ კვლევის მეთოდოლოგიები და კვლევის კონკრეტული ტექნიკები.
11. რეკომენდებულია კვლევის მეთოდების სოციალურ მეცნიერებებში (საფაკულტეტო სავალდებულო, უფრო მეტადაა აქცენტირებული მედიის საკითხებზე; სასურველია იყოს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის მეცნიერების საკითხებზე) კურსის გარდაქმნა და მორგება უშუალოდ კვლევის თვისებრივ და რაოდენობრივ მეთოდოლოგიებსა და მეთოდებზე (მეტად თვისებრივ მეთოდებზეზე, რადგან სოციალურ მეცნიერებების მონაცემთა ანალიზი - SPSS-ის მეთოდით არის მიფრო მეტად რაოდენობრივ კვლევაზე ორიენტირებული).
12. რეკომენდებულია საბაკალავრო თემის სათაურების დაკონკრეტება და საბაკალავრო დონისათვის მისადაგება და ნაშრომის გვერდების რაოდენობის გაზრდა (30-40გვ).
13. რეკომენდებულია პროგრამას დაემატოს აკადემიური წერის სასწავლო კურსი სავალდებულო სტატუსით, რომელიც კონკრეტულად საბაკალავრო ნაშრომის შექმნაზე იქნება ორიენტირებული.
14. აუცილებელია, შემუშავდეს შეფასების სტანდარტული ფორმა სტაჟირების განმახორციელებლებისათვის, რომელიც იქნება თავსებადი სილაბუსში გაწერილ კრიტერიუმებთან ჩაშლილი ქულობრივი შეფასებით. ამავდოულად, გაიწეროს სილაბუსში კონკრეტულად მუშაობის საათობრივი განაწილება: 30 საათი ინდივიდუალური (რა დავალება სრულდება) და 1 საათი მენტორთან მუშაობა (რას ეძღვნება? რა ფორმატში მიმდინარეობს?).
15. რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს აკადემიური წერის სასწავლო კურსი სავალდებულო სტატუსით, რომელიც კონკრეტულად საბაკალავრო ნაშრომის შექმნაზე იქნება ორიენტირებული.
16. რეკომენდებულია, სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსების გადახედვა გადაფარვების თავიდან აცილების, ლიტერატურის განახლებისა და შეფასების კრიტერიუმების კონკრეტიზაციის მიზნით.
17. რეკომენდებულია, პრაქტიკის კურსის სილაბუსის გადახედვა, შუალედური და დასკვნითი შეფასების პროცესის კონკრეტიზაცია. პრაქტიკის ხელმძღვანელის როლის ზუსტი განსაზღვრა პრაქტიკის კურსის მიმდინარეობისას.
18. რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების განახლება. კვლევის მეთოდებსა და ნაშრომის გაფორმების სტილზე აქცენტირება.

19. რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომის შესრულების პროცესში ხელმძღვანელის როლის ზუსტი განსაზღვრა.
20. რეკომენდებულია, სახელმძღვანელოდ გამოსაყენებელმა მონოგრაფიებმა გაიაროს არამხოლოდ ქართველი, არამედ სფეროს უცხოელი სპეციალისტის რეცენზირება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისუაბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზზე, კერძოდ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ როგორც დასკვნის პროექტიდან ვკითხულობთ, „ პროგრამის მოდიფიცირების მიზანი იყო მისი გაძლიერება, რათა ემოქმედა უფრო ეფექტურად დარგის კარგი სპეციალისტების გამოსაშვებად. აღნიშნულის მიღწევა მოხდა პროგრამისათვის ახალი კურსების (როგორც საფაკულტეტო, ისე სპეციალობის), სფეროს პრაქტიკული საგნების დამატებით და ინტერნაციონალიზაციის გაფართოებით. ბაზრის კვლევებისა და დამსაქმებლებთან შეხვედრების შემდეგ, უსდ-მ გადაწყვიტა, რომ პროგრამა ფოკუსირებული ყოფილიყო ენის კომპონენტის გაძლიერებაზე“. „პროგრამის მიზანია, რომ სტუდენტი საბაკალავრო პროგრამის დასრულებისას სრულყოფილად ფლობდეს ორ უცხო ენას. პროგრამის განმახორციელებლები თვლიან, რომ ამგვარად კურსდამთავრებულების კონკურენტუნარიანობა და მათზე მოთხოვნა შრომით ბაზარზე გაიზრდება. ამავდროულად, ხდება სტუდენტთა წახალისება, რათა მათ შეისწავლონ პოლონური და ესპანური ენები უფასოდ. მათ სთავაზობენ სასწავლო და სამეცნიერო ღონისძიებებში მოანაწილეობას უსდ-ს დაფინანსებით პოლონეთისა და ესპანეთის უნივერსიტეტებში“. გარდა ამისა, როგორც საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამის #4 დანართიდან ჩანს, მოყოლებული IV სემესტრიდან, თითქმის ყველა სასწავლო კურსი გამოუმუშავებს სტუდენტს როგორც პრაქტიკულ ასევე პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის უნარს.

რაც შეხეება აღნიშნულ სასწავლო პროგრამაში არჩევით სასწავლო კურსებად იმიტომაა წარმოდგენილი, რომ სტუდენტს საშუალება ქონდეს საბაკალავრო ნაშრომის თემის არჩევის წინ, ცოდნა გაიღრმავოს იმ რეგიონისა თუ პრობლემების შესახებ, რომელიც მისთვის საინტერესო იქნება და რომელზეც მას კვლევის ჩატარების სურვილი ექნება. ზემოაღნიშნული რეკომენდაცია საკმაოდ მძიმეა, გამომდინარე იქიდან, რომ ის შეიძლება აღქმულ იქნეს ისე, რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში „მოხდება პროგრამის მიზნის შედეგზე გასვლა“, თუ ახლად მოდიფიცირებულ პროგრამაში სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდება და დამსაქმებელთა რჩევით დამატებული საგნები სავალდებულო გახდება.

რაც შეეხება მე-3 რეკომენდაციას, როგორც საერთშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურიდან ჩანს საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსებს შორის ინგლისური ენა 10 კრედიტად ისეთი სტუდენტებისთვისაა გათვალისწინებული, რომელთაც ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური აქვთ ჩაბარებული, ხოლო მათთვის, ვისაც ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური არა აქვთ ჩაბარებული, მისი სწავლება 3 სემეტრად, 15 კრედიტად არის განსაზღვრული. ამას ასახავს პროგრამის მე-6 გვერდზე არსებული ჩანაწერიც. აქვეა ჩანაწერი იმასთან დაკავშირებით, თუ რა შემთხვევაში თავისუფლდება პირი ინგლისური ენის სწავლებიდან. ცხადია, პირის მიერ ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელი საერთაშორისო დონის სერთიფიკატის წარმოდგენა არ ათავისუფლებს მას საერთაშორისო ურთიერთობებში პროფესიული ინგლისურის სწავლებისგან, ვინაიდან საერთაშორისო დონის სერთიფიკატი ადასტურებს პირის ზოგად ცოდნას ინგლისურ ენაში (წერა, კითხვა, მოსმენა და ლაპარაკი) და არა დარგობრივი, პროფესიული ინგლისურის ცოდნას საერთაშორისო ურთიერთობებში. რაც ეხება პირს, რომელიც შესაბამისი საფეხურის ინგლისურენოვანი პროგრამიდან მობილობით ჩაირიცხება უნივერსიტეტში, პროფესიული ინგლისური უღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გადმოდის საერთაშორისო ურთიერთობების

პროგრამიდან და ნასწავლი აქვს პროფესიული ინგლისური საერთაშორისო ურთიერთობებისთვის.
მნიშვნელოვანია ასევე მე-8 რეკომენდაციას, კერძოდ დღეისათვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში არის ყველა სავალდებულო ლიტერატურა, რომელიც მითითებულია სილაბუსებში, თუმცა უნივერსიტეტი მუდმივად ანახლებს ბიბლიოთეკას დარგის უახლესი ლიტერატურით ყველა პროგრამის ფარგლებში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დავალებით, ყველა პროფესორი, ახალი სემესტრის დაწყებამდე ვალდებულია განაახლოს სილაბუსები, მათ შორის ლიტერატურა და სასწავლო მასალები. ისე, რომ ეს მუდმივი პროცესია, რომლის საფუძველზეც ხდება სილაბუსების უახლესი სავალდებულო ლიტერატურითა და დამხმარე მასალებით გამდიდრება.
რაც შეეხება მე-10 რეკომენდაციას, უნივერსიტეტის მხრიდან პროფესორ-მასწავლებლებს მუდმივად აქვთ მხარდაჭერა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის, ახალი სახელმძღვანელოების დაბეჭდვა-გამოცემისა და თანამედროვე უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმნა - გამოცემის საქმეში. როგორც უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, ბიუჯეტი აქვს არა მხოლოდ სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამას ახორციელებს, არამედ ბიუჯეტი აქვს თავად პროგრამას.

მე-11 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ახალგაზრდა კადრების მოზიდვა და ჩართვა მეცნიერებაში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. იმისათვის, რომ ახალგაზრდა თაობა დაინტერესდეს მეცნიერებით და აკადემიური კარიერით, უწყვეტად მიმდინარეობს მათზე ფოკუსირებული საგრანტო პროგრამების შემუშავება და განვითარება. უნივერსიტეტში დაგეგმილია რიგი ღონისძიებების, რომელთა უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდა მკვლევრების და მეცნიერების წახალისება, ბაკალავრიატის საფეხურიდანვე სტუდენტების ჩართვა კვლევებში, მათი დაინტერესება აკადემიური კარიერით და სხვა. უნივერსიტეტი სტუდენტებს საშუალებას აძლევს ჩაერთონ კვლევითი პროექტების განხორციელებაში; მონაწილეობა მიიღონ იმ სამეცნიერო - კვლევითი პრობლემების დამუშავებაში, რომლებიც პროფესორთა კვლევების ინტერესს წარმოადგენენ; სტუდენტთა ჩართვა სამეცნიერო სტუდენტურ კონფერენციებში, ჯგუფური პროექტების დამუშავება და პრეზენტაციები ხელს უწყობენ მათი პრაქტიკული უნარების განვითარებას”.
რაც შეეხება მე-15 რეკომენდაციას, პრაქტიკის სილაბუსში დეტალურადაა გაწერილი ის დავალებები, რომლის კეთებაც ევალებათ სტუდენტებს კვირის განმავლობაში (30 საათი კვირეული დატვირთვაა). ყოველი კვირის ბოლოს მათ 1 საათი საკონსულტაციო შეხვედრა აქვთ პრაქტიკის ხელმძღვანელთან, როცა განიხილავენ პრაქტიკის ობიექტთან დაკავშირებით მიმდინარე კვირას არსებულ პრობლემებსა თუ დადებით შთაბეჭდილებებს, ასევე გამოთქვამენ სურვილებს პრაქტიკის მიმდინარეობის პერიოდში სასურველ ცვლილებებთან დაკავშირებით. მენტორი სისტემატურად მეთვალყურეობს სტუდენტებს პრაქტიკის ობიექტზე, შესაბამისად მასთან შეხვედრებიც პრაქტიკის ობიექტზე ხდება. სწორედ ამიტომაა 100 ქულიან დასკვნით შეფასებაში მენტორის შეფასების წილი არც თუ ისე პატარა (60 ქულა), რომლითაც ის აფასებს სტუდენტის კომუნიკაციის უნარს, ჯგუფში მუშაობის უნარს და იმ პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რომელიც სტუდენტმა პრაქტიკის პერიოდში შეიძინა. რაც შეხეება პრაქტიკის ანგარიშის დაცვის კომისიას, ქულებით აფასებს სტუდენტის მიერ მომზადებულ ორგანიზაციის საქმიანობის ანალიზს, დაუფლებულ კომპეტენციებს და სტუდენტის მიერ პრაქტიკის ობიექტის თავისებურებების აღწერას. პრაქტიკის სილაბუსი საერთოა ყველა ორგანიზაციისთვის, სადაც პრაქტიკა მიმდინარეობს და ყველა სტუდენტისთვის, რომელიც პრაქტიკას გადის.

მე-17 რეკომენდაციასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ასეთი გადაფარვები შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმძღვანელოების შემთხვევაში, მაგრამ არა თემატურად, რაც გამოწვეულია ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურის სიმცირის გამო, მაგრამ ამ მხრივ უნივერსიტეტმა გაატარა მთელი რიგი ღონისძიებები. უნივერსიტეტს აქვს საგრანტო პროგრამები, ჩამოყალიბებულია მთარგმნელობითი ცენტრი და წახალისებულია სახელმძღვანელოების შექმნა, რაც ასახულია როგორც სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტში.

რაც შეეხება მე-18 რეკომენდაციას, პრაქტიკის ხელმძღვანელი (მენტორი), პრაქტიკის დაწყების დღიდან მეთვალყურეობას უწევს სტუდენტის საქმიანობას პრაქტიკის ობიექტზე. მას ყოველი კვირის ბოლოს 1 საათი საკონსულტაციო შეხვედრა აქვს სტუდენტებთან, როცა განიხილავენ პრაქტიკის ობიექტთან დაკავშირებით მიმდინარე კვირას არსებულ პრობლემებსა თუ დადებით შთაბეჭდილებებს, ასევე გამოთქვამენ სურვილებს პრაქტიკის მიმდინარეობის პერიოდში სასურველ ცვლილებებთან დაკავშირებით. რაც შეეხება პრაქტიკის შუალედურ შეფასებებს, ეს სწორედ პრაქტიკის ხელმძღვანელის ყოველკვირეული შეფასებებია, რომელიც აფასებს პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტის საკომუნიკაციო უნარებს, ჯგუფში მუშაობის უნარებს და პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რომლებიც პრაქტიკის განმავლობაში უყალიბდებათ სტუდენტებს.

მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტის მიერ თვითშეფასების ანგარიშის დანართში #11 წარმოდგენილია „საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და კომისიაზე დაცვის წესი“, რომელშიცდეტალურადაა აღწერილი როგორ ხდება საბაკალავრო ნაშრომის სტრუქტურის შერჩევა, რა არის საბაკალავრო ნაშრომისაუცილებელი შემადგენელი ნაწილები; ის, რომ საბაკალავრო ნაშრომის ძირითადი ტექსტი უნდა დაიყოს თავებად და ქვეთავებად. იგი აუცილებლად უნდა შეიცავდეს შესავალს, ავტორის მიერ მიღებულ შედეგებს და მათ განსჯას, დასკვნას. ის, რომ საბაკალავრო ნაშრომის შესავალ ნაწილში აღწერილი უნდა იქნას ნაშრომში დასმული პრობლემის აქტუალობა. ცხრილების, დიაგრამების, სქემებისა და ილუსტრაციების მითითების ინსტრუქცია; საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და გაფორმების წესი.

რაც შეეხებე მე-20 რეკომენდაციას, საბაკალავრო ნაშრომი წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ სამუშაოს, რითაც მოწმდება სპეციალობაში სტუდენტის არგუმენტაციის, კომუნიკაციის, ანალიზისა და სინთეზის უნარები და ასევე პრობლემების ხედვის თუ შეფასების შესაძლებლობები. ეს შეიძლება იყოს თეორიული სამუშაო ან შემოქმედებითი პროექტი. საბაკალავრო ნაშრომის მიზანია გამოვლინდეს სტუდენტის ცოდნის დონის, შემოქმედებითი და კვლევითი უნარ-ჩვევების ხარისხის შესაბამისობა აკადემიური პროგრამით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.საბაკალავრო ნაშრომის ფორმატი გულისხმობს სტუდენტის მიერ საკვლევი თემის შერჩევას, საბაკალავრო ნაშრომის ხელმძღვანელის არჩევას, მასთან კონსულტირებასა და დამოუკიდებელ მუშაობას, საბაკალავრო ნაშრომის ირგვლივ ინფორმაციის შეგროვებას, დამუშავებასა და ანალიზს. საბაკალავრო ნაშრომის თემა შეირჩევა სტუდენტისა და ხელმძღვანელის მოსაზრებათა შეჯერების საფუძველზე. საბაკალავრო ნაშრომის მიზანია სტუდენტს განუვითაროს დამოუკიდებელი მუშაობის, ინფორმაციის ანალიზისადა სინთეზის უნარები, საშუალება მისცეს მას ჩამოაყალიბოს, წარმოაჩინოს და დაიცვას საკუთარი პოზიცია, მოახდინოს არსებული თეორიებისა და მიდგომების შედარება საკვლევ თემასთან დაკავშირებით. ეს ჩანაწერი სრულად შეესაბამება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-6 დონის აღმწერს, რომლის თანახმადაც ბაკალავრს შეუძლია „კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის/ნაშრომის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად. მას დამოუკიდებლად შეუძლია: სფეროსთვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, განყენებული მონაცემების ან/და სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი უახლესი მეთოდის გამოყენებით; სათანადო დასკვნების ჩამოყალიბება, იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ

სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან კომუნიკაცია კონტექსტისათვის შესაბამისი ფორმებით, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით“.

დაწესებულების წარმომადგენელმა ისაუბრა ასევე 21-ე რეკომენდაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ როგორც წარმოდგენილი სილაბუსებიდან ჩანს, მხოლოდ ერთადერთი მონოგრაფიაა გამოყენებული ერთადერთ საგანში „მეტადიპლომატია და დიპლომატიის სპეციალიზაციები“. რუსეცკი ა., მონოგრაფია „მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისათვის“, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალური მეცნიერების ფაკულტეტი, 2021 მონოგრაფია "მეტაპოლიტოლოგიის არსენალი მშვიდობისათვის" შექმნილია ალექსანდრე რუსეცკის სადოქტორო ნაშრომის კვლევითი კომპონენტის ფარგლებში. მონოგრაფია მომზადებულია შოთა რუსთაველის სახელობის ეროვნული სამეცნიეროს ფონდის დოქტორანტთა მხარდამჭერი პროექტის ფარგლებში. ნაშრომის ცალკეული კომპონენტები წარმოდგენილი იყო სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციაზე. 2021 წლის 8 ივნისს შედგა მონოგრაფიის პრეზენტაცია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში. ნაშრომის განსაკუთრებული და პრაქტიკულ შედეგია - პოლიტიკური მეცნიერებების და განათლების დარგობრივი საბჭოს ფორირების ინიციატივა, რომელსაც მხარს უჭერს სამინისტროს შესაბამისი სამსახური. ნაშრომში წარმოდგენილი მასალები წარმოდგენს განსაკუთრებულ ინტერესს საქართველოს ეროვნული უშიშროების პოლიტიკისთვის. ამიტომ მასალების ის ნაწილი, რომელიც ქართულადაა გამოქვეყნებული, არ არის გამოქვეყნებული ინგლისურად. სამომავლოდ, ახალი მონოგრაფიების შექმნის შემთხვევაში, რეკომენდაცია იქნება გათვალისწინებული.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ იზიარებს დაწესებულების მოსაზრებას აკადემიური წერის სასწავლო კურსთან დაკავშრებით, ვინაიდან საკითხთან მიმართებით რეკომენდაცია რამდენჯერმე მეორდება, გარდა ამისა წერის უნარების სილაბუსები სრულად ფარავენ აკადემირი წერის საკითხებს. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს ბენჩმარკინგის დოკუმენტი და შესაბამისად დააზუსტა თუ რომელი უნივერსიტეტის საუკეთესო პრაქტიკა იქნა პროგრამის ფარგლებში ყველაზე მეტად გამოყენებული, ვინაიდნა დოკუმენტში მოცემულია მხოლოდ ჩამონათვალი და არ არის გაკეთებული ანალიზი.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შრომის ბაზრის კვლევა საკმაოდ ფუნდამენტური დოკუმენტია და დააზუსტა, სანდოობა ვალიდურობის ნაწილი თუ აქვს დაწესებულებას დათბლილი. გარდა ამისა, საბჭოს წევრმა აღნიშნა ,,საერთაშორისო ეკონომკური ურთიერთობების“ სასწავლო კურსი და განმარტა, რომ პროგარმა ამზადებს საერთაშორისო უთიერთობების სპეციალისტს, მხოლოდ ერთი ეკონომიკური სასწავლო კურსით. აღნიშნული არ წარმოადგენს ხარვზს, თუმცა უმჯობესია პროგრამა მოცემული მდგომარეობა სამომავლოდ გაითვალისწინოს.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა აღნიშნა, რომ სწავლის შედეგების ჩამონათვალში დარგობრივ კომპეტენციებთან ერთად გაწერილია ისეთი გამპეტენციები, როგორიცაა საკუთარ სამუშაოზე ანალიზისა და კრიტიკის უნარი და ა.შ, შესაბამისად საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რამდენად წარმოადგენს მოცემული დარგობროვ კომპეტენციას და რამდენად შეფასებადია მსგავსად ფორმულირებული სწავლის შედეგები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

ბენჩმარკინგის დოკუმენტთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სტუდენტების ძირითადად მიდიან პოლონეთისა და ესპანეთის უნივერსიტეტებში.

რაც შეეხება სწავლის შედეგებს, აღნიშნული ფორმულირებულია აქტიური ზმნებითა და აწყოს დროში. მნიშნელოვანია, რომ პროგრამაზე მუშაობდა არა მარტო პროგრამის ხელმძღვანელი, არამედ ყველა პროფესორი, რაც ჩანს მე-6 დანართიდან. რაც შეეხება კომპეტენციების საკითხს

დოკუმენტში გაწერილია, პრაქტიკის დასრულების შემდეგ დარგთან დაკავშირებით რა კომპეტენციაში გაიღრმავებს ცოდნას სტუდენტი.
მნიშვნელოვანია ასევე საკითი შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით. ინდიკატორი რომელიც საბჭოს წევრის მიერ იქნა გამოთქმული კვლევის ფარგლებში არ იქნა გათვალისწინებული, თუმცა დაწესებლება აუცილებლად მიაქცევს აღნიშნულს ყურადღებას.
რაც შეეხება ეკონომიკის საკითხებს, დაწესებულება იზიარებს რომ მნიშვნელოვანია ეკონომიკის საკითხები გაზრდა, თუმცა აღნიშნული საკითხები გათვალსიიწნებულია როგორც საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის კურსში, ასევე, პოლიტიკური მეცნიერებისა და უსაფრთხოების კურსებში.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:27
დასრულების დრო: 19:03
აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარე ექსპერტთა შეფასება და 1.2, 2.2, 4.2 ქვეკომპონენტი ნაცვლად ,,მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან'' განისაზღვრა როგორც ,, შესაბამისია მოთხოვნებთან'', ხოლო 5.1 კომპონენტი ნაცვლად ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან'' განისაზღვრა როგორც ,,მეტწილად შესაბამისია მოთხოვნებთან''.
რეკომენდაციები:
1. რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს კურსი - ეკონომიკის შესავალი/საფუძვლები ან მოხდეს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების კურსის მოდიფიცირება (მას დაემატოს ეკონომიკის საფუძვლის შემქმნელი ძირითადი ელემენტები);
2. რეკომენდებულია, პროგრამას დაემატოს საგანი საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები;
3. რეკომენდებულია, შეივსოს სილაბუსები დარგის უახლესი ლიტერატურით, მათ შორის ინგლისურენოვანით.
4. რეკომენდებულია, გადამუშავდეს სოციალური კვლევის მეთოდების კურსის სილაბუსი დარგობრივი მიმართულებით.
5. რეკომენდირებულია გადაიხედოს რიგი სასწავლო კურსების სტატუსი და შინაარსი პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების შესაბამისად.
6. აუცილებელია, რომ გაძლიერდეს სტუდენტთა კვლევითი უნარები. მათ საფუძვლიანად უნდა შეისწავლონ კვლევის მეთოდოლოგიები და კვლევის კონკრეტული ტექნიკები;
7. აუცილებელია, შემუშავდეს შეფასების სტანდარტული ფორმა სტაჟირების განმახორციელებლებისათვის, რომელიც იქნება თავსებადი სილაბუსში გაწერილ კრიტერიუმებთან ჩაშლილი ქულობრივი შეფასებით. ამავდოულად, გაიწეროს სილაბუსში კონკრეტულად მუშაობის საათობრივი განაწილება: 30 საათი ინდივიდუალური (რა დავალება სრულდება) და 1 საათი მენტორთან მუშაობა (რას ეძღვნება? რა ფორმატში მიმდინარეობს?)
8. რეკომენდებულია, სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსების გადახედვა შეფასების კრიტერიუმების კონკრეტიზაციის მიზნით.
9. რეკომენდებულია, საბაკალავრო ნაშრომის შესრულებისა და შეფასების განახლება. კვლევის მეთოდებსა და ნაშრომის გაფორმების სტილზე აქცენტირება.
10. რეკომენდებულია ამოქმედდეს შიდა ხარისხის მონიტორინგის მექანიზმები სწავლის შედეგების მიღწევადობის უზრუნველსაყოფად.

რჩევები:
1.სასურველია გაძლიერდეს საერთაშორისო ურთიერთობების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის პიარ-სტრატეგია.
2.სასურველია პროგრამაში დამსაქმებელთა მოთხოვნების შესაბამისად გაძლიერდეს პრაქტიკული კომპეტენციების განმავითარებელი სასწავლო კურსები.

3.სასურველია, მეტი სიცხადე საბაკალავრო პროგრამაში დარგის ინგლისური ენის სწავლების თაობაზე, ნათლად იყოს ასახული სერტიფიკატის მქონე სტუდენტი ან ინგლისურენოვანი პროგრამიდან გადმოსული სტუდენტი თავისუფლდება თუ არა დარგობრივი ინგლისურის სწავლებისგან.
4. სასურველია რიდერის ყოველ სავალდებულო წასაკითხ თემას ახლდეს ლიტერატურა, რომელაც ის ეყრდნობა ან იყენებს.
5.ინგლისური ენის შეთავაზების კუთხით სასურველია არ იქნეს შეთავაზებული ინგლისური ენა დამწყებთათვის, ვინაიდან ამ სამი დონით შეუძლებელი იქნება დარგორივი ინგლისური ენის ათვისება, სტუდენტებისთვის შეთავაზებული იყოს ორი პაკეტი B 1 ან B 2 დონით დაწყება, რაც დარეგულირდება სტუდენტის ჩარიცხვის შემდეგ.
6.სასურველია პროგრამაში გაძლიერდეს ეკონომიკური მიმართულების საკითხების სწავლება.
7.სასურველია სავარაუდო საბაკალავრო თემის სათაურების დაკონკრეტება და საბაკალავრო ნაშრომის მოცულობის გადახედვა/კორექტირება.
8.უსდ-მ უფრო აქტიურად შესთავაზოს სტუდენტებს კარიერული განვითარების მიმართულებით სხვადასხვა შესაძლებლობები მათი სპეციალობიდან გამომდინარე;
9.სასურველია საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობისთვის სტუდენტების ჩართულობის წახალისება და დროული ინფორმირება;
10.სასურველია უსდ-ს გარე აქტივობებში სტუდენტების ჩართულობის წახალისება;
11.სპეციალობის გაცვლითი პროგრამების მხრივ უფრო აქტიური მუშაობა უსდ-ს მხრიდან;
12.საკონსულტაციო საათების მიზნობრიობაზე აქტიური კომუნიკაცია და სტუდენტების წახალისება, რომ ეფექტურად გამოიყენონ ეს დრო.
13.სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიურმა პერსონალმა გააძლიეროს მუშაობა სტუდენტების წასახალისებლად, რათა მათ აქტიურად გამოიყენონ აღიშნული ბაზები.
14.სასურველია, პროგრამის განვითარებისა და გარე შეფასების პროცესში არა მარტო ქართველი, ასევე უცხოელი ექსპერტებისგანაც იყოს მიღებული გარკვეული შეფასებები, მით უფრო რომ უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ მრავალფეროვანი საერთაშორისო კონტაქტები და მემორანდუმებით განსაზღვრული ურთიერთობები.
15. სასურველია გააქტიურდეს სტუდენტების ჩართულობა საერთაშორისო დონეზე - ევროპულ უნივერსიტეტებში მობილობის მიმართულებით (მაგ. ერაზმუს+ პროექტის ფარგლებში უსდმ ხელი შეუწყოს სტუდენტების გაცვლითი პროექტებში ჩართვას);
16.ბენჩმარკინგის დოკუმენტში გამოიკვეთოს უცხოური ანალოგების შესწავლის შედეგები და უკუკავშირის მიღების საკითხი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორის ურთიერთობების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის

საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,საერთაშორის ურთიერთობების'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამ 7 წლის ვადით მინიჭა აკრედიტაცია, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

3.მესამე საკითხი : შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ჟურნალისტიკის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ჟურნალისტიკა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული,
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	გადაწყვეტილება N684, 20.11.2012
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-ჟურნალისტიკა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჟურნალისტიკის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0312 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ჩარგლის ქუჩა # 73 , ნაძალადევის რაიონი, თბილისი, სასწავლო კორპუსი N 1, N 2. 0141 საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- ნინო ჭალაგანიძემ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას.
საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში აკრედიტაციის ვიზიტი ჩატარდა წინასწარ განსაზღვრულ ვადებში (28-29.09.2021), შემოწმების ჰიბრიდული ფორმატით (ონლაინინტერვიუები; მატერიალური რესურსების ადგილზე დათვალიერება). ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფს გვქონდა წინასწარი მოსამზადებელი ონლაინშეხვედრა, სადაც განისაზღვრა მნიშვნელოვანი, აუცილებელი ასპექტები და შეკითხვები, რომლებიც გამოვიყენეთ ინტერვიუს დროს და დაგვეხმარა აკრედიტაციის სტანდარტებთან პროგრამის შესაბამისობის დადგენაში. უნდა აღინიშნოს, რომ აკრედიტაციის ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული, კომისია მუშაობდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირობებში. ადმინისტრაციამ და აკადემიურმა შემადგენლობამ უზრუნველყო კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციისა და მტკიცებულებების ოპერატიული წარდგენა. იყო კოლეგიალური და კეთილგანწყობილი გარემო. ინტერვიუები მიმდინარეობდა დაუძაბავად და გულახდილად, რამაც კომისიას შესაძლებლობა მოგვცა მიგვეღო ამომწურავი პასუხები დასმულ კითხვებზე. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რაც რეკომენდაციების ნაწილში გაზიარებული იქნა ექსპერტთა ჯგუფის მიერ. კერძოდ, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან მუშაობის გააქტიურების შესახებ რეკომენდაცია რჩევად გადაკვალიფიცირდა; ასევე მოიხსნა რეკომენდაცია -პრაქტიკის სასწავლო კურსით „ტელეგადაცემის მომზადება (პრაქტიკა სამაუწყებლო მედიაში)“ განსაზღვრული მედიაპროდუქტების ტიპის გამრავალფეროვნება.
შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ჟურნალისტიკის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაციები:

1. დაკორექტირდეს სამაუწყებლო მედია (რადიო) და სამაუწყებლო მედია (ტელევიზია) სილაბუსებში კურსების შედეგები, ან დავალებები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციაზე, კერძოდ აღნიშნა, რომ როგორც სილაბუსებში გაწერილი თემატიკიდან ჩანს, ორივე სასწავლო კურსი თეორიული ტიპისაა. შესაბამისად, სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოყენებული დავალებები, შეფასების ფორმები და კრიტერიუმები, თეორიული სასწავლო კურსების შესაფასებლად საჭირო დავალებების, შეფასების ფორმებისა და კრიტერიუმების ადექვატურია. პროგრამის განმახორციელებელ პროფესორთა მიერ გაზიარებულ იქნა ექსპერტთა რეკომენდაცია და ორივე სილაბუსში დაკორექტირდა სწავლის შედეგები, რის შემდეგაც ისინი შესაბამისობაში მოვიდა კურსების ფარგლებში შესასრულებელ დავალებებთან, შეფასების ფორმებთან და კრიტერიუმებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბჭოს წევრმა, ნათია ზედგენიძე-ჯიშკარიანმა აღნიშნა, რომ დასკვნაში 1.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით მოცემულია, რომ შესაბამისობის რუკაში სრულად იქნეს ასახული მიზნები, შესაბამისად მოუწოდა ექსპერტებს საკითხის განმარტებისკენ. გარდა ამისა 1.2 ქვესტანდარტში ექსპერტები საუბრობენ, რომ სწავლის შედეგები გაიწეროს აქტიური ზმნების გამოყენებით მარტივად და მკაფიოდ. ასევე საინტერესოა 2.4 ქვესტანდარტთან მიმართებით არსებული ჩანაწერი.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკ უთარი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ შედეგი და ჟურნალისტიკის საკითხების ფართო ცოდნა არ შეესაბამება მიზნის მეორე ნაწილს. შესაბამისად, უმჯობესია ემ მიზნები სრულად აისახოს რუკაში.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიზნები უკვე გადმოტანილია რუკაში და აღნიშნული წარმოდგენილია დოკუმენტაციაში.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა სწავლის შედეგებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ შედეგები წარმოდგენას ქმნის ნასწავლის შინაარსზე და არა სტუდენტის უნარზე. გარდა ამისა მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკული სასწავლო კურსები გულისხმობს დარგობრივი ცოდნის გაღრმავებასა და პრაქტიკული უნარების გამომუშავებას როგორც ბეჭდვითი და აუდიო, ასევე სატელევიზიო და ონლაინ მედია პროდუქტის წარმოების მიმართულებით. პროგრამაში ასევე აღნიშნულია და მემორანდუმებითაც დასტურდება, რომ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული ტელე და რადიო სტუდიების გარდა, სტუდენტებს საშუალება ექნებათ პრაქტიკა გაიარონ მოქმედ მედიაორგანიზაციებშიც (საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო, საქართველოს რეგიონულ მაუწყებელთა ასოციაცია, საქართველოს საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“, პერიოდული ბეჭდური გამოცემა, ჟურნალი „თეატრი“, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ჟურნალისტიკის რესურს-ცენტრი, მაუწყებელთა ალიანსი, ტელეკომპანია „ტოკ-ტვ“ და ა. შ. თუმცა მემურანდუმის მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებშია მითითებული, რომ პრაქტიკის წინ დაზუსტდება სტუდენტთა რაოდენობა თუ რამდენს შეუძლია სტაჟირების ამ ფორმით სარგებლობა. მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკული კურსები, რომლებიც ბოლო ორი წლის განმავლობაში ისწავლება, უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას, პრაქტიკის კომპონენტის აღწერა პროგრამაში მეტ სიცხადეს მოითხოვს, რომ ცხადად ჩანდეს განსხვავება პრაქტიკასა და სასწავლო კურსებს შორის, რომლებიც ჟურნალისტიკის კონკრეტული მიმართულებების უნარ-ჩვევების განვითარებაზეა ორიენტირებული და არ აჩენდეს კითხვებს მოქმედ მედიაორგანიზაციებში პრაქტიკის გავლის შემთხვევაში მიღებული გამოცდილების, შეფასებისა და კრედიტების მოცულობის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულებიდ წარმომადგენელმა განმარტა, რომ შედეგები პროგრამის ფარგლებში არ საჭიროებენ დიდ კორექტირებას, თუმცა დაწესებულება რა თქმა უნდა სამომავლოდაც იკითხებს საკითხთან დაკავშირებით.
რაც შეეხება სხვაობას პრაქტიკასა და თეორიულ ნაწილებს შორის, აღნიშნული წარმოადგენს გაუგებრობას, ვინაიდან, საკმაოდ მდიდრად არის პროგრამაში წარმოდგენილი როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული კურსები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 19:29

დასრულების დრო: 19:40

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარე ექსპერტთა შეფასება.

კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 1.2 ქვესტანდარტი სტანდარტი, ნაცვლად „ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ , მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“;

რეკომენდაციები:

1. რეკომენდირებულია ცოდნა-გაცნობირების ნაწილში სწავლის შედეგები ჩამოყალიბდეს გაზმოვადი სახით.
2. დაკორექტირდეს სამაუწყებლო მედია (რადიო) და სამაუწყებლო მედია (ტელევიზია) სილაბუსებში კურსების შედეგები, ან დავალებები.

რჩევები:

1. სასურველია, გასწორტდეს ტექნიკური ხარვეზი და პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკაში სრულად იქნას ასახული პროგრამის მიზნები.
2. სასურველია, საკითხავი ლიტერატურის გამრავალფეროვნება, რათა არ მოხდეს კურსებს შორის გადაფარვა.
3. სასურველია, პროგრამასა და თანდართულ დოკუმენტაციაში ცხადად ჩანდეს განსხვავება პრაქტიკასა და სასწავლო კურსებს შორის, რომლებიც ჟურნალისტიკის კონკრეტული მიმართულებების უნარ-ჩვევების განვითარებაზეა ორიენტირებული.
4. სასურველია სამომავლოდ პროგრამის ხელმძღვანელობამ, სტუდენტებისათვის საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით, გააძლიეროს საქმიანობა პროგრამის განხორციელების პროცესში უცხოელი ლექტორების მოწვევისა და სულ მცირე, მოკლევადიანი ონლაინ კურსების ჩატარების მიმართულებით. აღნიშნული მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროგრამის სტუდენტთა ცოდნის არეალის გაფართოებას და უზრუნველყოფს მათ დაინტერესებას საერთაშორისო პრობლემებითა და აქტუალური საკითხებით. ეს კი, თავის მხრივ საფუძველს დაუდებს სამომავლოდ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხრიდან საუკეთესო მაგალითების ქართულ რეალობაში გადმოტანისა და ადაპტირების პროცესის წარმატებით განხორციელებას.
5. სასურველია, შესაძლებლობის ფარგლებში, შესწავლილ იქნას ანალოგ პროგრამათა სასწავლო გეგმები (მიზნებისა და სწავლის შედეგების პარალელურად), რაც პროგრამის აკადემიურ პერსონალს შესაძლებლობას მისცემს ერთი მხრივ, უკეთ დაინახონ მსგავსებაგანსხვავება ანალოგ პროგრამებთან, ხოლო მეორე მხრივ, წარმოდგენას შეუქმნის ადგილობრივ, რეგიონალურ თუ საერთაშორისო დონეზე/საგანმანათლებლო რუკაზე სად თავსდება წარმოდგენილი საბაკალავრო პროგრამა მისი მიზნებით, შედეგებითა და შინაარსით.
6. სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მეტად გააქტიუროს მუშაობა პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, რათა პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის სრული და გაცნობიერებული ჩართულობით.

საბჭოსთავმჯდომარემკენჭისყრაზედააყენა: შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ,,ჟურნალისტიკის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-3^1 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის მე-3 და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის ,,ჟურნალისტიკის'' საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

4.მეოთხე საკითხი : შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული სისტემების მართვის'' - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ინფორმაციული სისტემების მართვა - Devops
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, 22.09.2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	ინფორმაციული სისტემების მაგისტრი Master of Information Systems
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0613-პროგრამული უზრუნველყოფისა და აპლიკაციების განვითარება და ანალიზი
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	

		ჭავჭავაძისგამზ., #82, თბილისი, 0162,საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა
საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას ,,ინფორმაციული სისტემების მართვა - Devops“ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით მიენიჭა 4 წლიანი აკრედიტაცია, აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების ერთ წელში ანგარიშის წარმოდგენით და წელიწადსა და 6 თვეში მონიტორინგის პირობით. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით პროგრამას განესაზღვრა 16 რეკომენდაცია.
როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციების შესრულების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შეყვანილი იქნა ფაკულტეტის დეკანი, პროგრამის ხელმძღვანელები და პროგრამის განვითარების მრჩეველი, დარგის სპეციალისტები, დარგობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ასევე ბტუ-ს სტრქტურული ერთეულების ხელმძღვანელები. პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებით ,,ინფორმაციული სისტემების მართვა - Devops“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამამ რეკომენდაციების შესრულების შემდეგ პროგრესი განიცადა შემდეგი მიმართულებებით:

1. პროგრამის მიზნების მიღწევის უზრუნველყოფისათვის განხორციელდა პროგრამის გაძლიერება კვლევითი კომპონენტებით და თეორიული საკითხებით;
2. სპეციალობის ტესტი გაძლიერდა LINUX და Python საკითხებით ასევე დაემატა სერვისებისა და ღრუბლოვანი გამოთვლების საფუძვლების საკითხები;
3. სასწავლო კურსს „პრაქტიკა“ შეეცვალა დასახელება და გახდა „პრაქტიკული პროექტი“, ასევე გადაინაცვლა მესამე სემესტრში და გახდა არჩევითი;
4. პროგრამას დაემატა სავალდებულო სასწავლო კურსი „ოპერაციათა მენეჯმენტი“;
5. სასწავლო კურსში “ღრუბლოვანი სისტემების ორკესტრაცია (AWS)” დაემატა სხვა ღრუბლოვანი სისტემების ანალიზი და შედარება;

6. სასწავლო კურსს "ვერსიონირება და უწყვეტი ინტეგრაცია" მიეთითა ლიტერატურის გამოშვების თარიღები;
7. სასწავლო კურსის "არარელაციურ მონაცემთა ბაზების სისტემები (MongoDb)" შინაარსში დაემატა javascript-ის ფრეიმვორკებთან მუშაობის საკითხები;
8. სასწავლო კურსი „კვლევის მეთოდები" შინაარსი და მეტად კონცენტრირდა კვლევის მეთოდებზე, კვლევის ჩატარებასა და ანალიზზე;
9. სასწავლო კურსში "მონიტორინგის სისტემები" დაემატა მონიტორინგის სისტემების ანალიზი და შედარება და ასევე მიეთითა ლიტერატურას გამოშვების წლები;
10. სასწავლო კურსებში ტერმინი „ავტომატური სისტემები" ჩანაცვლდა „ავტომატიზებული სისტემებით";
11. სასწავლო კურსის "პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქტების მართვა" აღწერაში მოხდა ტერმინის - „პროდუქტის სტრატეგია" გაშლა;
12. სილაბუსებში დამოუკიდებელი მუშაობის საათების დასაბუთების მიზნით განხორციელდა საშინაო დავალებების, საკურსო პროექტების და პრეზენტაციების მომზადება;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და აღნიშნა, რომ სულ იყო გაცემული 16 რეკომენდაცია, საიდანაც 15 უკვე გათვალისიწინებულია დაწესებულების მიერ. მე-16 რეკომენდაცია ეხებოდა მოწვეული პეროსნალის კვალიფიკაციას. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტები ეჭვქვეშ არ აყენებდნენ არსებული პერსობალის კვალიფიკაციის შესაბამისობას, საუბარი იყო სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ასპექტებზე. დაწესებულების შინაგანაწესში დეტალურად არის ინფორმაცია პერსონალის არჩევისა და კვალიფიკაციის შესახებ. დღეისათვის არსებული პროგრამის განმახორციელებელი (აკადემიური და მოწვეული) პერსონალის შერჩევისას ბტუ ხელმძღვანელობდა უმაღ- ლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნებით, კერძოდ, პროგრამების განმახორციელებლად ხდება იმ პირთა შერჩევა, რომელთა კვალიფიკაცია დასტურდება პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით და რომელთაც უდასტურდებათ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. ანგარიშის მომზადების მომენტისთვის პროგრამა არ ხორციელდება. პროგრამის განხორციელების დაწყების შემდგომ, ახალი განმახორციელებლების შერჩევისას, გაწეული რეკომენდაცია იქნება გათვალისწინებული.

მნიშვნელოვანია ასევე, რომ რეკომენდაციის გათვალისწინების მიზნით, პროგრამას დაემატა სავალდებულო სასწავლო კურსი „ოპერაციათა მენეჯმენტი", რომელიც მიზნად ისახავს მაგისტრანტი მოემზადოს ოპერაციული პროცესების სწორად განხორციელებისთვის მმართველობით საქმიანობაში. ოპერაციების ოპტიმალურად დაგეგმვა-ორგანიზებისა და განხორციელების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები საშუალებას მისცემს მაგისტრანტს, განსაზღვროს ბაზარზე კონკურენტული უპირატესობის მოპოვების სწორი სტრატეგია. ასევე, კურსის ფარგლებში გაეცნოს კომპანიის ოპერაციების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიებს პრაქტიკოსი სპეციალისტების მიერ ჩატარებული მასტერკლასების საშუალებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:23

დასრულების დრო: 20:27

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული სისტემების მართვის'' - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ნგარიში მიღებულ იქნეს ცნობად.

კენჭისყრისშედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ,,ინფორმაციული სისტემების მართვის'' - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

5.მეხუთე საკითხი : სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "საზოგადოებრივი ჯანდაცვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	აკრედიტებული, 02.06.2020
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-საზოგადოებრივი ჯანდაცვა
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	VII
9	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0919 ჯანდაცვა - არაკლასიფიცირებული
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
14	განხორციელების ადგილი	საქართველო, თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 29, სასწალო კორპუსი1.
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოსწევრ(ებ)ის აცილება

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ კი

თვითაცილება განაცხადა- გაიანე სიმონიამ

საფუძველი- შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ვიზიტი შედგა დისტანციურ რეჟიმში, ვიზიტი წარიმართა ონლაინპლატფორმის (Zoom-ის) დახმარებით, კონსტრუქციულ და კეთილგანწყობილ გარემოში. ექსპერტების მიერ გამოთხოვილი ინფორმაცია წარდგენილ იქნა დაბრკოლების გარეშე. დაგეგმილ სესიებზე შეხვედრები მოხდა დადგენილ დროთა ინტერვალებში, შედგა კოლეგიალური და არსობრივი დიალოგი, რომელიც მეტწილად მოიაზრებდა საბჭოს მიერ 2020 წლის 12 ივნისს განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების მიღწევების შეფასებებს. ექსპერტთა ჯგუფს მიეცა შესაძლებლობა, დისტანციურად დაეთვალიერებინა ბიბლიოთეკა, გასცნობოდა მისი მუშაობის პრინციპებს, მოეძიებინა და ენახა გამოთხოვილი ლიტერატურა. ვიზიტის ბოლოს ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ გააცნო დაწესებულებას ჯგუფის წევრებთან შეჯერებული მიგნებები.
სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "საზოგადოებრივი ჯანდაცვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა ასე შეფასდა:

პირველისტანდარტი _ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეორესტანდარტი _ სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მესამესტანდარტი _ სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეოთხესტანდარტი _ სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

მეხუთესტანდარტი _ სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან;

ექსპერტთაჯგუფისთავმჯდომარემსაბჭოსგააცნოდასკვნაშიდაფიქსირებულირეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, საზოგადოებირვი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანში მეტი ჩაღრმავებით გამოიკვეთოს, თუ რა ცოდნისა და უნარების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა;
2. რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამაზე არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებისთვის (ბიზნესის, ადმინისტრირებისა და სამართლის სფერო) პროგრამზე მიღების წინაპირობები ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას პროგრამის დასაძლევად აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციის მქონე პირთა შერჩევა;
3. რეკომენდირებულია, პროგრამაში აქტიურად იქნეს გამოყენებული ანალიტიკური უნარების გამომუშავებისთვის სწავლება-სწავლის მეთოდთა მეტი მრავალფეროვნება 6 (გონებრივი იერიში, დედუქცია-ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, სოკრატესეული, კრიტიკული ანალიზი და სხვა);
4. რეკომენდებულია პროფესორ-მასწავლებელთათვის მეტი ეფექტურობითა და ინტენსივობით პროფესიული ტრენინგების შეთავაზება-გავლა, ამ მიზნით კი ინსტიტუციის მიერ სრული მხარდაჭერა და წახალისების სისტემის ფორმირება;

5. რეკომენდირებულია კურიკულუმის ეფექტური განვითარების მიზნით როგორც შიდა, ასევე გარე ხარისხის მონიტორინგისა და სათანადო რეაგირების ღონისძიებების განხორციელების მიზნობრივი ინტენსიფიკაცია;

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს და ისაუბრა დასკვნაში არსებულ რეკომენდაციებზე, კერძოდ მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მოცემული ტიპის და შინაარსის სამაგისტრო პროგრამაზე არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტების მიღება აპრობირებულია რიგ ავტორიტეტულ, მაღალი რენომეს მქონე უნივერსიტეტებში, მაგალითად, იერუსალიმის ჰადასას უნივერსიტეტში, ბრაუნ-ბელეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლაში, ასევე, ატლანტას (აშშ) ემორის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლაში. ამას გარდა, სააკრედიტაციო დოკუმენტებში იკითხება და ვიზიტის დროსაც აღინიშნა, რომ უნივერსიტეტში დადგენილი წესით სამაგისტრო პროგრამაზე მისაღების ე.წ. შიდა გამოცდის ჩატარება საზოგადოებრივ ჯანდაცვაში იძლევა აპლიკანტთა იმ ნომინალური უნარების დადგენის შესაძლებლობას, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული ცოდნის, უნარების და კომპეტენციის მისაღებად.

რაც შეეხება მე-6 რეკომენდაციას, ექსპერტთა რეკომენდაციის კონტექსტში მონიტორინგის შედეგებზე სათანადო რეაგირების ღონისძიებების განხორციელების მიზნობრივი ინტენსიფიკაციის შესახებ, ვადასტურებთ ვიზიტის დროს აღნიშნულ მოცემულობას გარე შეფასებისა და მონიტორინგის (მაგალითად, დამსაქმებლების მხრივ) ობიექტურ შეზღუდულობასთან და, შესაბამისად, ნაკლებეფექტურობასთან დაკავშირებით პანდემიის (და ე.წ. ლოკდაუნის) პირობებში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ აღნიშნა, რომ ბოლო შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში გამოიკითხა 5 ორგანიზაცია, შესაბამისად დააზუსტა, თუ რამდენად რელევანტურია 5 ორგანიზაციის გამოკითხვის შედეგები.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ პროგრამის სტრუქტურაში არჩევით სასწავლო კურსებს მინიჭებული აქვთ 2 კრედიტი, მიუხედავად იმისა, რომ ერთი კრედიტი 30 საათია, საბჭოს წევრმა დააზუსტა თუ რა მიდგომა ჰქონდათ დაწესებულების წარმომადგენელს, როდესაც ასეთი მცირე მოცულობის კრედიტი განსაზღვრეს. გარდა ამისა, ყველა სილაბუსში შუალედური გამოცდი ნაცვლად განსაზღვრულია კოლოქვიუმი, შესაბამისად დააზუსტა აღნიშნული არის თუ არა შუალედური გამოცდის იდენტური.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთა რი პოზიცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ წარმოდგენილი კვლევა იყო დამატებითი ეტაპი იმისა, თუ რა იყო ერთი წლის უკან გაკეთებული, რის შედეგადაც გამოკვლეული იყო ის ნაწილი, რომელოიც დაწესებულებისთვის ყველაზე მეტად იყო მნიშვნელოვანი. უნდა აღინიშნოს, რომ მათ მიერ ვაკანსიის გამოცხადებისას, პირველ რიგში, განიხილება სწორედ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის“ სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულის კანდიდატურა. ისიც აღსანიშნავია რომ კურსდამთავრებულთა 58% სწორედ ზემოხსენებულ ორგანიზაციებშია დასაქმებული.

მნიშვნელოვანია, რომ თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა და თანაფარდობა საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის, შეესაბამება კურსის შინაარსს, მისაღწევ სწავლის შედეგებს და შესაბამისობაშია საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის მომზადების თანამედროვე მოთხოვნებთან. პროგრამის კურსდამთავრებულთა კომპეტენციები აქცენტირებულია საზოგადოებრივი ჯანდაცვის თანამედროვე მიდგომებზე; სასწავლო კურსი სტრუქტურირებულია უმაღლესი განათლების

შესახებ კანონის და მისი ქვემდებარე სხვა ნორმატივების ფარგლებში. პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა, რაც ასახულია სილაბუსებში და ცნობილია მაგისტრანტებისათვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყებისდრო: 21:00

დასრულებისდრო: 21:30

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა შეფასება და 2.4 კომპონენტი ნავლად ,,შესაბამისობაშია მოთხოვნებთან განისაზღვრა როგორც ,,მეტწილად შესბამისობაშია მოთხოვნებთან''.

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანში გამოიკვეთოს, თუ რა ცოდნისა და უნარების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული პროგრამა.
2. რეკომენდებულია, დაზუსტდეს პროგრამაზე არაჯანდაცვითი კვალიფიკაციის მქონე აპლიკანტებისთვის პროგრამაზე მიღების წინაპირობები
3. პროგრამაში აქტიურად იქნეს გამოყენებული ანალიტიკური უნარების გამომუშავებისთვის სწავლება-სწავლის მეთოდთა მეტი მრავალფეროვნება (გონებრივი იერიში, დედუქცია-ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, სოკრატესეული, კრიტიკული ანალიზი და სხვა)..
4. რეკომენდებულია პრაქტიკისა და კვლევით ბაზებთან ხელშეკრულებებში პრაქტიკის მიზნებისა და მათ ბაზაზე დაშვებული სავარაუდო კონტიგენტის მითითება.

5. რეკომენდებულია პროფესორ-მასწავლებელთათვის მეტი ეფექტურობითა და ინტენსივობით პროფესიული ტრენინგების შეთავაზება-გავლა, ამ მიზნით კი ინსტიტუციის მიერ სრული მხარდაჭერა და წახალისების სისტემის ფორმირება.
6. კურიკულუმის ეფექტური განვითარების მიზნით როგორც შიდა ასევეგარეხარისხის მონიტორიგისა და სათანადო რეაგირების ღონისძიებების განხორციელების მიზნობრივი პერიოდულობა.

რჩევები:

1. სასურველია გაფარდოვდეს შრომის ბაზრის კვლევის არეალი.
2. სასურველია პროგრამის სწავლის შედეგები ფორმულირდეს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი გაზომვადობა და შეფასება.
3. სასურველია საგნის „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამართალი“ სილაბუსის ლიტერატურა დამატებით შეივსოს ქართული რელევანტური ნაშრომებით; ასევე, საგნებში ინტერნეტწყაროებით მოწოდებული ლიტერატურა პერიოდულად გადამოწმდეს აქტიური ინტერნეტბმულების უზრუნველყოფის მიზნით, გასწორდეს ტექნიკური უზუსტობები;
4. სასურველია სასწავლო კურსის „გლობალური ჯანმრთელობა“ სასწავლო მოცულობისა და მისაღწევი შედეგებიდან გამომდინარე, შესაბამისად გაიზარდოს საგნის კრედიტი, ხოლო საგნის „სამედიცინო ეკონომიკისა და ფინანსური მენეჯმენტის საკითხები ჯანდაცვაში“ სილაბუსში ტულჩინსკისა და ვარავიკოვას თანაავტორობით გამოცემული ნაშრომის გვერდების მოცულობა მიეთითოს.
5. სასურველია არჩევით სასწავლო კურსებში გადიხედოს კრედიტების მოცულობა.
6. სასურველია მაგისტრატურის დებულებაში დაზუსტდეს სამაგისტრო ნაშრომის განმეორებით დაცვასთან დაკავშირებული ტექნიკური უზუსტობები.
7. სასურველია სტუდენტების მეტი ინფორმირებულება კრედიტების განაწილებისა და სასწავლო პროცესის დაგეგმვის შესახებ.
8. სასურველია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამართლის კურსის განხორციელებაში დამატებით ჩართულ იქნეს სამართლის დარგის სპეციალისტი.

9. სასურველია პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებათა შესახებ სრული წარმოდგენის შესაქმნელად პირადი მონაცემების მუდმივად განახლება, ერთიან ფორმაში მოყვანა.
10. სასურველია, პროგრამის გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებისას რელევანტური ღონისძიებები დაიგეგმოს და აისახოს თვითშეფასების დოკუმენტშიც;
11. სასურველია, შემუშავდეს ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი, შესაბამისი გზამკვლევები და ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "საზოგადოებრივი ჯანდაცვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლი ს პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის "საზოგადოებრივი ჯანდაცვის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მინიჭა აკრედიტაცია, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ